

## ირინა უგრეხელიძე

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის  
სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
აკადემიური დოქტორი  
ელისო ჩუბინიძე

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის  
სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
მეცნიერ-თანამშრომელი

## ნონა ქარციძე

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის  
სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი  
აკადემიური დოქტორი

## უცხოურ და ადგილობრივ სახვით ფურნებში დაცული ქართული ისტორიული ცოსტიუმის ფორმების შედარებითი ანალიზი<sup>14</sup>

დღეისათვის, მიუხედავად ქართული ისტორიული კოსტიუმით მკვლევართა დიდი დაინტერესებისა, ნივთიერი მასალების არარსებობისა და სახვითი (საილუსტრაციო-გრაფიკული) ინფორმაციის სიმცირის გამო, არასაკმარისადაა გაშუქებული XVII-XVIII საუკუნეებამდე არსებული ქართული სამოსის ფორმები და კონსტრუქციები. ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში უგულებელყოფილი და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაუშვებელია ყველაზე ადრეული საილუსტრაციო მასალები (მინიატურები, გრავიურები) უცხოენოვანი წყაროებიდან, რომლებიც ქართულ სახვით ნიმუშებში არსებულ მასალებთან შედარებისა და ანალიზისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული.

უცხოურ წყაროებში ქართველთა ყველაზე ადრეული გამოსახულება თითქმის ერთდროულად გვხვდება ოსმალურ და იტალიურ წყაროებში, ესენია: 1586 წლით დათარიღებული ასაფი დალ მეჰმედ ჩელების ოსმალური ხელნაწერი „შეჯაათნამე“ და იტალიული მხატვარ-გრავიორის ჩეზარე ვეჩელიოს 1590 წელს გამოცემული წიგნი “De gli habitu antichi, et moderni di diverse parti del mondo libri due”.

ორივე წყარო ქართველი სამეცნიერო წრეებისათვის ამ ბოლო დრომდე სრულიად უცნობი იყო. დასახელებულ წყაროებში წარმოდგენილი ქართველთა სამოსისა და თავსაბურავების ურთიერთშედარება და ქართულ თანადროულ სახვით მასალებთან (მონუმენტური და მინიატურული ფერწერა) პარალელების გავლება, XVI საუკუნის სამოსის ფორმებისა და კონსტრუქციების შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მინიატურები 1586 წლით დათარიღებული ასაფი დალ-მეჰმედ ჩელების ისტორიული თხზულების „შეჯაათნამეს“ („წიგ-

<sup>14</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი № YS-19-806].

ნი სიმამაცისა“) ოსმალური ხელნაწერიდან. ხელნაწერის დედანი ამჟამად დაცულია სტამბოლის უნივერსიტეტში, ხოლო ასლი თოფკაპის სასახლეში (Eraevci, 2006). „შეჯაათნამე“ ირან-ოსმალეთის 1578-85 წლების ომის ამსახველი ვრცელი ლექსია. ამ ომის ძირითადი მიზანი კავკასიაში გავლენის მოპოვება იყო და მას შედეგად მოჰყვა ისედაც სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ორ უზარმაზარ ზესახელმწიფოს შორის ხელახალი გადანაწილება.

მისი ავტორი, ასაფი დალ-მეჰმედ ჩელები ოსმალეთის იმპერიის ისტორიკოსი და ოსმალეთის დიდი სარდლის ოზდემიროლლუ ასმან-ფაშას პირადი მდივანი იყო. ის თავად იყო ბრძოლების თვითმხილველი და აკეთებდა ყოველ-დღიურ ჩანაწერებს. ნაწარმოები, თურქი მეცნიერების მიერ მიჩნეულია ამ ომის ერთ-ერთ ისტორიულ წყაროდ და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არამარტო ისტორიოგრაფიის, არამედ გეოგრაფიის, ბიოგრაფიის, ფოლკლორის, ხელოვნების (მინიატურის ხელოვნება), სტრატეგიის, პოლიტიკისა და სოციოლოგიის თვალსაზრისითაც. ამდენად, წყარო შეიცავს მრავალ საინტერესო მასალას, სხვადასხვა სფეროს მკვლევართათვის (Eraevci, 2009).

თხზულების ორიგინალი 88 მინიატურითა შემკული. ხელნაწერის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ ცალკეული მნიშვნელოვანი ამბავი ფერწერული მინიატურით არის გადმოცემული. სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილია არაა მინიატურების ავტორის (თუ ავტორების) ვინაობა. თურქი გამომცემლის მეჰმედ არიფის აზრით, „შეჯაათნამეს“ ხელნაწერის სურათები ოსმალური მინიატურული ხელოვნების ნიმუშებია, მაგრამ ამავდროულად ილუსტრირებაში ას-მალეთის კარზე მოღვაწე ირანელ მხატვარსაც აქვს მიღებული მონაწილეობა.


ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ქართველი ისტორიული პირებისა და მეომრების ჩაცმულობა და საბრძოლო აღკაზმულობა. მათგან გამოვყოფთ ზოგიერთს: „კახეთის მეფის ალექსანდრე II-ისა და ოსმალთა სარდლის მუსტაფა ლალა ფაშას შეხვედრა“; „მეფე სიმბონის თავდასხმა ერზრუმელ მებრძოლებზე“; „ტფილისის დაპყრობა ოზდემიროლლუ ოსმან ფაშას მიერ XVI საუკუნის ბოლოს“.

საფიქრებელია, რომ ოსმალური ხელნაწერის მინიატურების შემსრულებელი ოსტატიც თავადვე იყო აღნერილი მოვლენების თვითმხილველი (ყოველ შემთხვევაში, კახეთის მეფისა და ოსმალთა სარდლის შეხვედრის მაინც). ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული პირებისა, მეფის მხლებლებისა და მებრძოლების სამოსისა და თავსაბურავის სახეები იძლევა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ჩაცმულობის იდენტურია. აღნიშნულ ფაქტს იმ პერიოდის ქართული სახვითი წყაროები, კერძოდ მონუმენტური, მინიატურული და ხატნერის ნიმუშები ადასტურებს. მინიატურებზე ქართველი პერსონაჟები ხუთი სხვადასხვა სახეობის კაბით არიან წარმოდგენილი. ამჟამად განვიხილავთ გადადებულკალთიან კაბას, რომლითაც შემოსილი არიან კახეთის მეფე ალექსანდრე II და მისი მხლებლები მინიატურაზე – „კახეთის მეფის ალექსანდრე II-ისა და ოსმალთა სარდლის მუსტაფა ლალა ფაშას შეხვედრა და მოლაპარაკება სართიჭალასთან, 1578 წ. სექტემბერში“ (სურ. 1,

ა, ბ). ქართველი მეფე შემოსილია წითელი ფერის გრძელი კაბით, რომელიც სწორი სილუეტისაა და ერთმანეთზე გადადებული კალთები აქვს; კალთის ნაპირი იღლიამდე გადადის, შესაკრავი მაღლია შესაძლოა იყოს ღილკილოებით, კაუჭებით ან ზონრებით; ნელზე მჭიდროდ აქვს შემოკრული ოქროვანი სარტყელი მუქი ფერის ვიწრო ზოლებით; თავზე ბეწვით გაწყობილი, მაღალი, აღმოსავლური ყაიდის ქუდი ახურავს, ფეხზე კი ფანდიკიანი მოგვი აცვია. მეფის სამოსის მსგავსია მისი ექვსი მხლებლიდან ორის – ყვითელი და ძონისფერი სამოსი (სურ. 1, ბ). მეორე მინიატურაზე გამოსახული ქართლის მეფის სიმონ I-ის სამოსი ალექსანდრე მეფის კაბის წელამდე დამოკლებულ ფორმას წარმოადგენს (სურ. 1, გ).



ა



ბ



გ

სურ. 1. ქართველების გადადებულვალთიანი კაბის სახეები ოსმალური  
მინიატურიდან: ა – მეფე ალექსანდრე II; ბ – მეფე ალექსანდრე II-ის  
მხლებლები; გ – მეფე სიმონ I

ქართულ სახვით წყაროებში, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი კაბებით (გადადებული ასიმეტრული კალთით) შემოსილი ქტიოტორების მთელი გალერეა გვაქვს. სამოსის ეს სახეობა უკვე XI საუკუნიდან გვხვდება და მრავალი ისტორიული პირი თუ ლიტერატურული გმირია გამოსახული მსგავსი კაბით.



ა



ბ



გ



დ



ე

სურ. 2. გადადებულკალთიანი კაბა ქართული სახვითი წყაროებიდან:  
ა – ალექსანდრე II (გრ. გაგარინისეული ასლი); ბ, გ – ბატონიშვილები თეიმურაზი  
და კონსტანტინე (გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკა); დ, ე – მინიატურები  
„ვეფხისტყაოსნის“ ავალიშვილისეული და თავაქარაშვილისეული ხელნაწერებიდან

განსაკუთრებით ხშირია მისი გამოყენება XV-XVI საუკუნეების ძეგლებში. მათ შორის მრავალია სამეფო ოჯახის წევრების გამოსახულებებიც, მაგალითი-სათვის გამოყოფთ: მეფე ალექსანდრე II-ის ახალგაზრდობისდროინდელ პორტრეტულ გამოსახულებას (სურ. 2, ა), რომელიც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი წყაროდან აქვს შესრულებული თავის დროზე მხატვარ გრ. გაგარინს. იმერე-თის მეფის ბაგრატ III-ის ძენი, ბატონიშვილები თეიმურაზი და კონსტანტინე – გელათის წმ. გიორგის ეკლესიის XVI საუკუნის ფრესკიდან (სურ. 2, ბ, გ).

ასეთივე კაბებით არიან გამოსახულები: ქტიოტორი ხურციძეები ზარზმის ტაძრის XV საუკუნის ფრესკაზე, ჭარელისძენი სორის ეკლესიის XVI საუკუნის ფრესკაზე და სხვა ცნობილი, ნაკლებ ცნობილი თუ უცნობი ისტორიული პირები გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობიდან (მღვიმევის, სეფიეთის, ჭალის, ელიასქედის მხატვრობა). მინიატურული მხატვრობიდან ანალოგიური სამოსით არიან გამოსახული პერსონაჟები „ვეფხისტყაოსნის“ ავალიშვილისეულ (სურ. 2, დ) და თავაქარაშვილისეულ (სურ. 2, ე) ხელნაწერებში, თუმცა ისინი განსახილველ დროზე ცოტა მოგვიანებით არის შესრულებული. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პორტრეტზე კაბას შესაკრავი მარცხენა მხარეს აქვს, ზოგჯერ კი მარჯვენა მხარეს.

როგორც ვხედავთ, ოსმალური ხელნაწერის მინიატურებში გამოსახული ქართველთა სამოსი წარმოსახვით როდია შესრულებული, არამედ იმდროინდელ რეალობას წარმოგვიჩნის.

საკვლევი თემატიკისათვის ძალზე საინტერესოა იტალიელი მხატვარ-გრავიორისა და გამომცემლის ჩეზარე ვეჩელიოს (Cesare Vecellio, 1521-1601) წიგნები მსოფლიოს ხალხთა კოსტიუმის გრავიურებით. ჩატმულობის კულტურის ბეჭ-დვითი სერიის გამოცემა უკვე XVI საუკუნის შუა ხანებში დაიწყეს ევროპაში (იტალიასა და ავსტრიაში).

რენესანსის ეპოქის იტალიელი გრავიორი და ფერმწერი ჩეზარე ვეჩელიო (დაახლ. 1521-1601) მხატვარ ტიციანის ბიძაშვილი იყო და მის ასისტენტადაც მუშაობდა. ვეჩელიოს მრავალი ნახატი ტიციანს მიენერებოდა. 1570 წლიდან ჩეზარე ვეჩელიო აქტიურ საგამომცემლო მუშაობაში ჩაერთო და დაიწყო წიგნების სერიის გამოცემა, რომლებიც შეიცავდა სხვადასხვა ხალხთა კოსტიუმების ილუსტრაციას. ის წლების განმავლობაში ახალი მასალებით ამრავალფეროვნებდა და ხელახლა გამოსცემდა ნაშრომს. 1590 წლის გამოცემაში „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უძველესი და თანამედროვე ჩვევების შესახებ“ (“De gli habiti antichi, et moderni di diverse parti del mondo libri due „Habiti antichi et moderni di tutto il mondo“) შესულია სხვადასხვა ხალხის კოსტიუმების 420 გრავიურა, რომელთაგან ზოგიერთი ნახატის ავტორობა ტიციანსაც მიენერება. წიგნში 2 გვერდი ქართველთა კოსტიუმს ეთმობა (Vecellio, 1590). ერთ-ერთზე აღნერილია ქართველთა სამოსი და თავასაბურავი, მეორეზე წარმოდგენილია გრავიურა ქართველი მამაკაცის გამოსახულებით (სურ. 3). როგორც ეტყობა, წიგნმა საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რასაც ადასტურებს მისი მრავალჯერადი გამოცემა 1598, 1625, 1859-60 წლებში, როგორც იტალიურ, ისე სხვა ენებზე. გრავიურა სავარაუდოდ, გერმანელი გრავიორის ქრისტოფორე კრიგერის

შესრულებულია. აღნიშნული წყარო უცნობი იყო ქართველი სამეცნიერო წრეებისთვის და მხოლოდ ბოლო დროს შევიდა მიმოქცევაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გრავიურაზე ქართველი მამაკაცის გამოსახულება წარმოსახვითაა შესრულებული (სორდია, 2020); ჩვენი ვარაუდით, მისი ავტორი ეყრდნობა თვითმხილველის აღწერას. ვეჩელიო თავად არასდროს მოგზაურობდა და მისი ნახატები შესრულებულია ნიკოლას დე ნიკოლაისა და პიერ დე კოკას ადრე არ-სებული ილუსტრაციების მიხედვით (Vingopoulou, 2014).



სურ. 3. ქართველი ჩეზარე ვეჩელიოს  
ნიგნიდან

სიასამურის ბეწვისაა, შიგნიდან კი ხუჭუჭმატყლიანი ბეწვისაა, შიგნიდან ჩამოკიდებულია რქის ფორმის (ე.ი. კონუსური – ავტ.) კაპუიშონი, რომელიც მხრებზე ეცემა. ზოლიანი კაბა ანუ ტუნიკა აბრეშუმის ან სხვა მასალისაგან, შუა წვივამდე სიგრძით, გადაჯვარედინებულია მარცხენა მხარეს“ (Vecellio, 1590).

როგორც ვხედავთ, აღწერილია სწორედ ის, ზემოთ განხილული, გადადებულკალთებიანი კაბა, რომელიც მრავლად გვხვდება ქართულ სახვით წყაროებში. რაც შეეხება ზოლებს – ასეთიც გვაქვს მონუმენტურ მხატვრობაში, მაგალითად, ასლან ჯაფარასძე ლეხთაგის ლამარიას (ლვთისმშობლის მიძინების) ეკლესიის მოხატულობიდან.

აღნიშნულმა გრავიურამ ქართველი საზოგადოების კრიტიკა და-იმსახურა. მისი მნახველები აღნიშნავდნენ, რომ ნახატზე არა ქართველი, არამედ სლავი მსროლელია გამოსახული, რომ სამოსი არ შეესაბამება რეალობას. მართლაც, ქართველის გამოსახულება ევროპელის გარეგნობას უფრო ჰგავს, მაშინ, როდესაც ნიგნში შეტანილი ჩვენი მეზობელი ქვეყნების წარმომადგენელთა – სომხის, თურქის, სპარსის ჰაბიტუსი აზიური ტიპაჟის ამსახველია. როგორც ეტყობა, ავტორის წარმოსახვაში ქართველი უფრო ევროპელი იყო, ვიდრე აზიელი.

მაგრამ ეს ყოველივე ერთი შეხედვითაა ასე. თუ ყურადღებით დავაკვირდებით გრავიურას და მით უფრო მეორე გვერდზე ტექსტს, სადაც აღწერილია, რომ „ქალებიც და მამაკაცებიც სპარსულ სტილში იცვამენ, მაგრამ უფრო მოხერხებულად. ქუდის გადანაკეცი (ლაცკანი)

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იტალიურ წყაროში ქართველთა სამოსის აღწერილობას საფუძვლად უდევს ჩვენს ქვეყანაში სრულიად რეალურად არსებული ფორმები, ხოლო ვიზუალურად ევროპელის ასოციაციას (რაც ასე მკაფიოდ გამოამჟღავნა ქართულმა საზოგადოებამ) წარმოშობს ნახატის შესრულების ევროპული მანერა და ევროპული სტილი, მაშინ, როდესაც მინიატურა ოსმალური ხელნაწერიდან აღმოსავლურია და მსგავსი ილუსტრაციები უფრო შესისხლხორცებულია ჩვენს მიერ იმ პერიოდის სახვითი მასალებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩეზარე ვეჩელიოს სწორედ ამ გამოსახულებით შეექმნათ ევროპელებს წარმოდგენა ქართველების შესახებ და მისი სახეცვლილი ვარიაციები თითქმის საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ხშირად ქვეყნდებოდა სხვადასხვა გამოცემებში (უგრეხელიძე და სხვ., 2019:272-275).

ინტერესს მოკლებული არ არის კაბის კონსტრუქცია. საზოგადოდ, ისტორიული კოსტიუმის კონსტრუქციის ანალიზი, ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, როდესაც არ არსებობს რეალური ნივთიერი მასალა ან მატერიალური ნიმუში, რამდენადმე გართულებულია. ამ დროს კონსტრუქციული ანალიზისათვის მონაცემების მიღება შეუძლებელია და კვლევა უნდა ჩაუტარდეს სახვითი და წერილობითი მასალების მიხედვით შექმნილ ვიზუალს და კონსტრუქციის ანალიზი მხოლოდ მხატვრობის პროპროცესიული კანონების მიხედვით უნდა გადაწყდეს.

ქართულ სახვით წყაროებში ასახულ გადადებულკალთიან კაბას აქვს ერთი თავსებურება – ნიუანსი, რომელიც დამატებით ანალიზსა და დაზუსტებას საჭიროებს. ყველა ამ კაბას, მათ შორის ოსმალური მინიატურებიდანაც, მართალია, კალთის წელსზედა ნაწილი გვერდის ხაზამდე გადადის, მაგრამ წელს ქვედა ნაწილი შუაში, ცენტრალურ ხაზზე ჩაჭრილია და თითქოს სპეციალურად ხაზგასმულია კალთის გადაკეცილი ქვედა კუთხის ჩვენებით (სურ. 1, ა, ბ). ამ შემთხვევაში საინტერესოა, კალთის ქვედა ნაწილი გაჭრილია ცენტრალურ ხაზზე თუ ქვედა ნაწილის ეს დეტალი საერთოდ მოცილებულია? ასეთი ვარაუდი დასაშვებია, რადგანაც სხვა დროსაც გვაქვს დეტალების ამოკვეთის მსგავსი მაგალითები, რაც ცხენზე ჯდომისას მოძრაობის თავისუფლების უზრუნველსაყოფად არის გათვალისწინებული (გავიხსენოთ ლაშა-გიორგის ყაბარჩა ყინწვისის და ბერთუბნის ფრესკებიდან). აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთულია სამოსის კონსტრუქციის ზუსტი ანალიზის გაკეთება.


უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ამავე უცხოური წყაროების საილუსტრაციო მასალებში გამოსახულ თავსაბურავებს. აღსანიშნავია, რომ მინიატურულ მხატვრობაში ყოველთვის დაცულია ერთი კანონზომიერება – სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ერთმანეთისაგან გარჩევა თავსაბურავებით არის შესაძლებელი (მით უფრო ბატალურ სცენებში). „შეჯაანამეს“ სამივე მინიატურაში, რომლებზეც ქართველთა გამოსახულება ფიგურირებს, ზედმიწევნით არის დაცული ეს განმასხვავებელი ნიშანი და თავსაბურავების საშუალებით შესაძლოა თავისუფლად ამოვიცნოთ ოსმალო, სპარსი, ქართველი თუ ჩრდილო კავკასიელი პერსონაჟი. გარდა ამისა, განსხვავებულია თავსაბურავები წოდებრივი ნიშნითაც. ქართველი მეფეების ალექსანდრე II და სიმონ I ქუდები, მცირე-

დი განსხვავებით, ერთმანეთის მსგავსია (სურ. 1, ა, გ) და შეესაბამება ალექსი მესხიშვილის მიერ აღწერილ XVI-XVII საუკუნეების თავსაბურავს: „აკეცილი ძალარა ბენე-არშიანი... ცა ქუდისა კაბის ფერი და იმავე ნაქსოვისა, მინამგზავსი ყირლიზულ-ნოლაურისაა“ (გაზ. „ივერია“, 1904). სიმონ I-ის ქუდის ცა მისივე სამოსის ქსოვილისაა.

ოსმალურ მინიატურებსა და ჩეზარე ვეჩელიოს გრავიურაზე ქართველთა ქუდები გრძელია და ნაწვეტებული კონუსური ფორმა აქვთ (სურ. 1, ა, ბ და სურ. 3). ქუდები სწორედ ისეთია, როგორსაც ვახუშტი ბატონიშვილი აგვილწერს: „არამედ პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელბენოსანი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941). ვახუშტის ეს აღნერლობა ხშირად იყო მკვლევართა განხილვის საგანი (დოლიძე და სხვ., 2016; უგრეხელიძე, 2011; ციციშვილი, 1954) და მიჩნეული იყო, რომ ასეთი თავსაბურავის გამოსახულება არ შემოვრჩა ქართულ მონუმენტურ და მინიატურულ მხატვრობაში. ვახუშტისეული ამ ციტატის შესახებ ივ. ციციშვილი წერდა: „...ზოგიერთ შემთხვევაში ვახუშტისეული აღწერილობა არ დასტურდება იმ დროინდელი კედლის მხატვრობით.... ერთმეფობის დროინდელ, ჩვენამდე მოლწეულ ნახატებზე, როგორცაა მესხეთის ათაბაგთა პორტრეტები, ჩინურ-მონღლოლური ტიპის ველაკიან ქუდებს ნესვმაგვარი და ზომიერი თაფა აქვთ და არა გავს „გრძელსა და ბეჭსა ზედა მცემელსა“ (ციციშვილი, 1954). ორივე უცხოურ სახვით წყაროში გამოსახულ ქართველ მამაკაცებს სწორედ ბეჭებზე მცემელი კუნჭულიანი ქუდები ახურავთ. ამდენად, დასახელებული უცხოური ძეგლები საკმაოდ ღირებულ წყაროს წარმოადგენენ ვახუშტის მიერ აღწერილო თავსაბურავის ფორმის დადგენისათვის, რომელიც ჩვენთვის მანამდე უცხო იყო. მას შემდეგ, რაც უცხოურ წყაროებში წავანყდით ვახუშტის აღწერილობის შესაბამის ქუდებს, ბოლოდროინდელი ინტენსიური ძიების შედეგად, ქართულ სახვით წყაროებშიც მივაკვლიერ ფორმებს. ისინი განეკუთვნება, როგორც უფრო ადრინდელ პერიოდს, ისე საკვლევ პერიოდსაც. ასეთებია: სვანი დიდებულების თავსაბურავები მეფე დემეტრესათვის ხმლის შებმის სცენაში – მაცხვარიშის ფრესკიდან (XII ს.) ქტიორ ვახტანგ საყვარელიძის თავსაბურავი ფერწერული ხატწერის ნიმუშიდან (სურ. 4, ა); უცნობი ქტიორის თავსაბურავი მარტვილის ტაძრის ფრესკიდან (სურ. 4, ბ).



ა



ბ

სურ. 4. „კუნძულიანი“ თავსაბურავები: ა – ქტიტორი ვახტანგ საყვარელიძე ხატნერის ნიმუშიდან; ბ – უცნობი ქტიტორი მარტვილის ტაძრის ფრესკიდან

როგორც ვხედავთ, დაუშვებელია უცხოური წყაროების, განსაკუთრებით საილუსტრაციო მასალების სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით უგულებელყოფა, მით უფრო ქართული ნივთიერი ნიმუშებისა და ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში. ასეთი წყაროები, ძალიან ხშირად, შეიცავს ძვირფას ცნობებსა და მასალებს, რომელთა ანალიზი, პარალელების მოძიება და ურთიერთშედარება ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის ფრიად საჭირო ინფორმაციას წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დოლიძე ნ. (და სხვ.), ქართული ეროვნული სამოსის კვლევა წერილობითი წყაროების, სამუზეუმო ექსპონატებისა და იკონოგრაფიული მასალების მიხედვით. ქუთაისი: ანსუ გამომცემლობა, 2016.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941.
3. სორდია გ., ქართველთა ჩაცმულობა და ეთნოგრაფიული ტიპაჟები XVI-XIX საუკუნეების ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში. - [ს.ლ.]: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრი, 2020.
4. უგრეხელიძე ი., კოსტუმი შუა საუკუნეების საქართველოში. ქუთაისი: ანსუ გამომცემლობა, 2011.
5. უგრეხელიძე ი., ქარციძე ნ., ჩუბინიძე ე., ქართული ტრადიციული სამოსი უცხოურ წყაროებში. საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“. თბილისი: საქართველოს ეროვნული არქივი, 2019.

6. ციციშვილი ივ., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის. თბილისი: მეცნიერება, 1954.
7. ალექსი-მესხიშვილი ისტორიული პიესების წარმოდგენების გამო. გაზეთი „ივერია“. 1904, №66.
8. Eravci H.M. Historians of the Ottoman Empire // Dal Mehmed Çelebi (Asafi). 2006. <https://ottomanhistorians.uchicago.edu/tr/historian/dal-mehmed-celebi-asafi>.
9. Eravci H.M. Asafî Dal Mehmed Çelebi and Şeca'atname. <https://www.kitapyurdu.com/>. 2009. <https://www.kitapyurdu.com/kitap/asafi-dal-mehmed-celebi-ve-secaatname/131897.html>.
10. Vecellio C. Habiti antichi et moderni di tutto il Mondo di Cesare Vecellio. Venice : appresso i Sessa, 1590.
11. Vingopoulou I. Travelogues Travellers' Views. 2014. [ბ.6. 31.05.2021]. <https://eng.travelogues.gr/collection.php?view=144>.

**Irina Ugrekhelidze**

*Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum*

*PhD*

**Eliso Chubinidze**

*Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum*

*Researcher*

**Nona Kartsidze**

*Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum*

*PhD*

## **Comparative Analysis of Georgian Historical Costume Forms Preserved in Foreign and Local Fine Arts Sources**

Currently, regardless of the considerable interest of researchers in Georgian Historical costume, due to the scarcity of material evidence and fine art (illustrative-graphic) information, the forms and construction of Georgian clothing that date back to the seventeenth and eighteenth centuries are insufficiently covered. In the condition with the lack of information, the earliest illustrative materials (miniatures, engravings) from foreign sources, that are neglected in scientific circulation can be used for comparison and analysis of the materials in Georgian fine works.

The earliest images of Georgians from foreign sources can be found in the Ottoman manuscript "Secaatname" by Asafi Dal Mehmed Çelebi dated to 1586 and in the book by the Italian artist-engraver Cesare Vecellio published in 1590 - "De gli habitu antichi, e moderni di diverse libi parti del mondo" due".

By comparing Georgian clothes and headwear depicted in Ottoman manuscript miniatures as well as engravings and drawing of Italian book and drawing parallels with contemporary Georgian fine materials (monumental and miniature paintings) it's possible to make some conclusions concerning the forms and constructions of the 16th century clothing.